

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის
ბრძანება N 1-1/793
2006 წლის 15 აგვისტო ქ. თბილისი**

**ტექნიკური რეგლამენტის “დაკანონებული გაზომვის
საშუალებების პირველადი და პერიოდული დამოწმება”
დამტკიცების შესახებ**

“გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10 და მე-12 მუხლების საფუძველზე და „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და აკრედიტაციის სფეროს მარეგულირებელი კანონების რეალიზაციის ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2005 წლის 29 დეკემბრის N591 განკარგულების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი „დაკანონებული გაზომვის საშუალებების პირველადი და პერიოდული დამოწმება” – თანდართული სახით.
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ი. ჩოგოვაძე

**ტექნიკური რეგლამენტი
“დაკანონებული გაზომვის საშუალებების პირველადი და პერიოდული დამოწმება”**

I ზოგადი დებულებები

1. ძირითადი დებულებები

ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ატარებენ დაკანონებული გაზომვის საშუალებების პირველად და პერიოდული დამოწმების სამუშაოებს. მასში აღწერილია პროცედურები და განსაზღვრულია ზეგავლენის მქონე ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია დამოწმებისადმი სწორი მიდგომის შერჩევასთან. ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა შეიძლება განახორციელოს პირველადი და პერიოდული დამოწმების სამუშაოები მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მიღებული აკრედიტაციის მიხედვით (შემდგომში – დამოწმებლები). პირველადი დამოწმების მიზანია უზრუნველყოს ექსპლუატაციაში გაშვებამდე დაკანონებული გაზომვის საშუალებების შესაბამისობა დამტკიცებულ ტიპთან. ამასთან, მისი დადგენილი მეტროლოგიური მახასიათებლები იყოს დასაშვებ ზღვრებში და ის სათანადოდ ფუნქციონირებდეს. პერიოდული დამოწმების მიზანს წარმოადგენს უკვე დაკანონებული გაზომვის საშუალებების მდგრადი მუშაობის უზრუნველყოფა. დაკანონებული გაზომვის საშუალებები, რომლებიც საქართველოს

კანონმდებლობით არ ექვემდებარება სავალდებულო და პერიოდულ დამოწმებას შეიძლება იქნეს დაკალიბრებული. (28.07.2010 N 1-1/1263)

2. განსაზღვრებანი

ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ტიპის ასლი** – ცალკეული გაზომვის საშუალება, რომელიც დადგენილ ზღვრებში ყველა პარამეტრით შეესაბამება მოცემულ ტიპს.

შენიშვნა. სიტყვა ?ტიპი? ფართოდ გამოიყენება გაზომვის საშუალებების დამტკიცებული მოდელის მიმართ, აგრეთვე გაზომვის საშუალებების კლასის მიმართ, რომელიც შეესაბამება მას. ტიპის ასლის სახით დამზადებული გაზომვის საშუალებები ქმნის სხვა კლასს. განსაზღვრული კლასის გაზომვის საშუალებების აღნიშნულ ტიპთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილება, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია პირველად დამოწმებაზე. ტიპის დამტკიცება გულისხმობს არა მარტო მოთხოვნებთან ტიპის შესაბამისობის აღიარებას, არამედ ასევე ეხება მოცემული კლასის გაზომვის საშუალებებსაც. ეს ჩვეულებრივ ნიშნავს, რომ მოცემული გაზომვის საშუალება შესაძლოა დაშვებული იქნეს რეალიზაციისათვის როგორც დაკანონებული გაზომვის საშუალება და წარდგენილ იქნეს პირველად დამოწმებაზე.

ბ) **იურიდიული ვარგისობა** – დაკანონებული გაზომვის საშუალებების თვისება, რომლის საშუალებითაც ტიპის დამტკიცების და დამოწმების დადებითი შედეგების შემთხვევაში ოფიციალურად იქნება აღიარებული იურიდიულად ვარგისად.

გ) **გაზომვის საშუალების გამოყენება** – გაზომვის საშუალების ტიპის კონკრეტული ასლისათვის განსაზღვრა ყველა იმ გაზომვების, რომელთათვისაც ის შეიძლება იქნეს გამოყენებული, ასევე ყველა იმ პირობების, რომელთა მიხედვითაც ეს გაზომვები ჩაითვლება დაკანონებულად.

დ) **გამოსაცდელი ნიმუში** – ფიზიკური ობიექტი, მოწყობილობა ან მასალა, რომელიც ექვემდებარე გაზომვას და აღწარმოებს გასაზომ ან დასაკალიბრებელ ფიზიკურ სიდიდეს.

ე) **ბრმა გამოსაცდელი ნიმუში (ბრმა მასალის ნიმუში)** – უცნობი გამოსაცდელი ნიმუში (ან მასალის ნიმუში), რომელიც წარმოდგენილია ორგანიზაციაში, აღნიშნული ორგანიზაციის გაზომვების შესაძლებლობების შესაფასებლად.

ვ) **ორმაგი ბრმა გამოსაცდელი ნიმუში (ორმაგი ბრმა მასალის ნიმუში)** – ბრმა გამოსაცდელი ნიმუში, გამოყენებული იმ დამატებითი პირობით, რომ ორგანიზაციის პერსონალისათვის, რომლის შესაძლებლობების შეფასება ხდება, არაა ცნობილი იმის შესახებ, რომ გამოსაცდელი ნიმუში სინამდვილეში წარმოადგენს ბრმა გამოსაცდელ ნიმუშს (ან ბრმა მასალის ნიმუშს).

ზ) **საკანონმდებლო მეტროლოგია** – მეტროლოგიის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია საკანონმდებლო (დადგენილი) მოთხოვნების შედეგად წარმოქმნილ საქმიანობასთან, რომელსაც ახორციელებს საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახური და მოიცავს გაზომვებს, გაზომვის ერთეულებს, გაზომვის

საშუალებებს და გაზომვის მეთოდებს.

თ) **საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახური** – სამსახური, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიური საქმიანობის ორგანიზებისა და განხორციელების უფლება.

ი) **დამმოწმებელი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი რომელიც ატარებს დამოწმებას საქართველოს კანონმდებლობი შესაბამისად.

კ) **დამოწმების სპეციალისტი** – დამმოწმებლის თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ ატარებს დამოწმების სამუშაოებს.

ლ) **დაკალიბრება** – განსაზღვრულ პირობებში შესრულებული პროცედურა, რომელიც პირველ ეტაპზე ადგენს დამოკიდებულებას გაზომვის ერთეულის ეტალონებით (გაზომვის სტანდარტით) უზრუნველყოფილ სიდიდის მნიშვნელობებსა (გაზომვის განუსაზღვრელობებით) და შესაბამის ჩვენებებს (მათთან დაკავშირებული გაზომვის განუსაზღვრელობებით) შორის და მეორე ეტაპზე ამ ინფორმაციას იყენებს დასაკვირვებელი გაზომვის შედეგის, გაზომვის ერთეულის ეტალონების (გაზომვის სტანდარტის) ჩვენებებთან დამოკიდებულების დასადგენად. (28.07.2010 N 1-1/1263)

მ) **მომხმარებელი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელი თავის საქმიანობაში იყენებს გაზომვის საშუალებას.

ნ) **დამოწმება** – პროცედურა, რომელიც მოიცავს ექსპერტიზას და გაზომვის საშუალების ნიშანდებას ან/და დამოწმების მოწმობის გაცემას, რომელიც ადასტურებს, რომ გაზომვის საშუალება შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. (28.07.2010 N 1-1/1263)

II დამოწმება

3. დამოწმების სახეები

გაზომვის საშუალებების დამოწმება არის ორი სახის: პირველადი და პერიოდული.

ა) პირველადი დამოწმება

გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმება არის გამოცდებისა და ვიზუალური ექსპერტიზების სერია, რომელიც ტარდება იმის დასადგენად შეესაბამება თუ არა განსაზღვრული ტიპის ასლის სახით დამზადებული გაზომვის საშუალება ამ ტიპს და არსებულ რეგლამენტებს; არის თუ არა აღნიშნული ტიპის ასლის მეტროლოგიური მახასიათებლები პირველადი დამოწმებისათვის მოთხოვნილ ზღვრებში. თუკი გაზომვის საშუალება გაივლის ყველა გამოცდას და გამოკვლავს, მაშინ ის ჩაითვლება იურიდიულად ვარგისად, რაც დასტურდება დამოწმების დაღის დატანითა და დამოწმების მოწმობის გაცემით. ადრე დაუმოწმებელ ნებისმიერ გაზომვის საშუალებას შეუძლია გაიაროს პირველადი დამოწმება.

პირველადი დამოწმების მოთხოვნები, კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა შეეხოს გაზომვის საშუალების ტიპს, გაზომვის საშუალების კატეგორიას,

ტიპის სიზუსტის კლასს ან ნებისმიერი გაზომვის საშუალების გამოყენების კონკრეტულ სფეროს.

ბ) პერიოდული დამოწმება

გაზომვის საშუალებების პერიოდული დამოწმება არის გამოცდებისა და ვიზუალური ექსპერტიზების სერია, რომელიც ჩვეულებრივ ტარდება დამოწმებელის მიერ იმის დასადგენად აგრძელებს თუ არა გამოყენებული გაზომვის საშუალება ბოლო დამოწმების შემდეგ წესებთან შესაბამისობას და ინარჩუნებს თუ არა თავის მეტროლოგიურ მახასიათებლებს მოთხოვნილ ზღვრებში. თუკი გაზომვის საშუალება გაივლის ყველა გამოცდასა და გამოკვლევას მაშინ ის კვლავ ჩაითვლება იურიდიულად ვარგისად, რაც დასტურდება დამოწმების დადმის დატანით და დამოწმების მოწმობის გაცემით.

თუ პერიოდული დამოწმება ხდება გაზომვის საშუალებების ერთობლიობიდან ნიმუშების შერჩევით, მაშინ დამოწმების დადებითი შედეგის შემთხვევაში ამ ერთობლიობის ყველა გაზომვის საშუალება ჩაითვლება დამოწმებულად.

პერიოდული დამოწმების მოთხოვნები განსხვავდება პირველადი დამოწმების მოთხოვნებისაგან და ხშირად ნაკლებად მკაცრია. ეს მოთხოვნები, კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაძლოა ეხებოდეს გაზომვის საშუალების ტიპს ან სიზუსტის კლასს, კატეგორიას ან ნებისმიერი გაზომვის საშუალების გამოყენების კონკრეტულ სფეროს.

4. დამოწმებას დაქვემდებარებული გაზომვის საშუალებები

კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად პირველად დამოწმებას გადის ყველა ახალი გაზომვის საშუალება ან ახალი გაზომვის საშუალების ერთობლიობის ნიმუშები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც დაკანონებული გაზომვის საშუალებები. გაზომვის საშუალების პირველადი დამოწმება ასევე ტარდება შეკეთების შემდეგ ან გაზომვის საშუალების გამოყენების სფეროს შეცვლისას.

გაზომვის საშუალებები ჩვეულებრივ ექვემდებარებიან როგორც ტიპის დამტკიცებას, ასევე დამოწმებას; ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა გამოყენებული იქნეს მხოლოდ ერთ-ერთი ოპერაცია, თუ ეს დაშვებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით.

5. დამოწმება ტიპის დამტკიცების შემდეგ

გაზომვის საშუალების კატეგორიების უმრავლესობა, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფო მეტროლოგიურ კონტროლს და ზედამხედველობას, ექვემდებარება ტიპის დამტკიცებას.

ამგვარად, დამტკიცებული ტიპის ასლის სახით დამზადებული გაზომვის საშუალებების უმრავლესობა ექვემდებარება დამოწმებას. გამონაკლისები განხილულია ქვევით.

6. დამოწმება ტიპის დამტკიცების გარეშე

საქართველოს კანონმდებლობით ტიპის დამტკიცებას არ საჭიროებს

განსაკუთრებული დანიშნულების ერთეულ ეგზემპლიარად შემოტანილი გაზომვის საშუალებები. ეს გაზომვის საშუალებები ექვემდებარებიან პირველად დამოწმებას.

7. ტიპის დამტკიცება დამოწმების გარეშე – თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით

არის შემთხვევები, როდესაც ტიპის დამტკიცების შემდეგ საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახურს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ გაზომვის საშუალების ტიპის ასლის სახით დამზადებულმა გაზომვის საშუალებამ არ უნდა გაიაროს პირველადი ან პერიოდული დამოწმება.

ჩვეულებრივ გაზომვის საშუალებები თავისუფლდება პირველადი დამოწმებისაგან, იმ შემთხვევაში თუკი მოთხოვნები ტიპის სიზუსტისადმი არ არის მაღალი; თუკი ცნობილია დამამზადებელის მიერ ტიპის საიმედოდ წარმოების შესახებ; თუ პროცესის კონტროლის ხარისხი და საიმედოობა შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ და აპრობირებულ მეთოდებს; და თუ ტრანსპორტირება ან დამონტაჟება გავლენას არ ახდენს გაზომვის საშუალების რეგულირებაზე, სიზუსტეზე ან ფუნქციონირებაზე.

პერიოდული დამოწმებიდან განთავისუფლება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გაზომვის საშუალების ტიპის მეტროლოგიური ხარისხი არ იცვლება ექსპლუატაციის პროცესში.

8. დამოწმების შემადგენელი ნაწილები

დამოწმება (პირველადი და პერიოდული) იყოფა სამ განსხვავებულ შემადგენელ ნაწილად: მეტროლოგიური, ტექნიკური და ადმინისტრაციული გამოკვლევა.

ა) მეტროლოგიური გამოკვლევა

მეტროლოგიური გამოკვლევა პირველადი დამოწმებისას ჩვეულებრივ უფრო სრულია, ვიდრე იმავე გაზომვის საშუალების პერიოდული დამოწმებისას. ორივე შემთხვევაში დგინდება არსებული მეტროლოგიური და სამუშაო მახასიათებლები. თუ პირველადი დამოწმებისას შესაძლოა ჩატარდეს გაზომვის საშუალების სკალის ყველა გადამრთველის, მართვის სახელურების სისტემატური შემოწმება, პერიოდული დამოწმებისას ეს კონტროლი ხორციელდება იმ ხარისხით, რასაც ითხოვს გაზომვის საშუალების ფაქტიური ექსპლუატაცია ან მისი იმიტაცია. ორივე შემთხვევაში გაზომვის საშუალების დამოწმება ჩვეულებრივ ხდება სამუშაო პირობებში დიაპაზონის ზღვრული და საშუალო მნიშვნელობებისათვის. ამ გამოცდებმა უნდა განსაზღვროს გაზომვის საშუალების ფაქტიური ცდომილება ან აჩვენოს (განსაკუთრებით პერიოდული დამოწმებისას) არის თუ არა ცდომილება დასაშვებ ზღვრებში.

ბ) ტექნიკური გამოკვლევა

ტექნიკურმა გამოკვლევამ შეიძლება მოიცვას ისეთი შემოწმებები, როგორიცაა:

ბ.ა) გაზომვის საშუალების საერთო მდგომარეობის შემოწმება, დაზიანებების, ქუჭყის, ცვეთის კვალის გამოვლენა;

ბ.ბ) გაზომვის საშუალების ადგილმდებარეობის სისწორის, გამყიდველისა და

მყიდველისათვის მისი ჩვენების დანახვის შესაძლებლობის შემოწმება;

ბ.გ) ავტომატური სასწორების ჩვენების სისრულის შემოწმება (ჩვენება უნდა მოიცავდეს მასას, საქონლის ერთი ერთეულის ფასს, საერთო ფასს);

ბ.დ) გაზომვის საშუალებით თაღლითობის ან მისი განზრახ თაღლითურად გამოყენების შესაძლებლობების ან კონკრეტული ქმედებების არსებობის შეფასება;

ბ.ე) გაჩერების მოწყობილობის მოქმედებაში მოყვანის თანმიმდევრობა.

გ) ადმინისტრაციული გამოკვლევა

ადმინისტრაციული გამოკვლევა შესაძლოა მოიცავდეს:

გ.ა) იარლიყების, ცხრილების, წარწერების შემოწმებას;

გ.ბ) ტიპის დამტკიცების დაღის და დამოწმების დაღის და თარიღის შემოწმებას;

გ.გ) პლომბის, ჩამკეტის და სხვა მეტორლოგიური უსაფრთხოების მოწყობილობების მთლიანობის შემოწმებას;

გ.დ) გაზომვის საშუალების ან მის ექსპლუატაციის მოწმობების ხელმისაწვდომობის შემოწმებას;

გ.ე) საჭირო ტექნიკური დოკუმენტების და გრადუირების დიაგრამების ხელმისაწვდომობის შემოწმებას;

გ.ვ) დამოწმების, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ოქმების შემოწმებას.

III. დამოწმების პროცესი

9. დამოწმებისას გამოყენებული ეტალონები და გაზომვის საშუალებები

დამოწმებისას გამოყენებული ეტალონები და გაზომვის საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს მის მიზანს, მიკვლევადი უნდა იყოს სახელმწიფო ეტალონებთან, უნდა წარმოადგენდეს *დამოწმების*, *დაკალიბრების* საიმედო პროგრამის ნაწილს. დამოწმებული გაზომვის საშუალება უნდა გამოიყენებოდეს იმავე სიდიდის ან ამ სიდიდესთან პირდაპირ დაკავშირებული სიდიდეების გასაზომად ან სხვა განსაზღვრული სიდიდეების გასაზომად, რომლებიც იძლევიან გაზომვის საშუალების მუშა მახასიათებლების შესახებ მონაცემებს. დამოწმებელს ასევე შეუძლია გამოიყენოს ზუსტად დაკალიბრებული საგამოცდო ნიმუშები (ეტალონები), მაგალითად, საწონები – გაზომვის საშუალების ნაცვლად.

10. კადრები – დამოწმების სპეციალისტი

დამოწმების სპეციალისტები მომზადებული უნდა იყვნენ ზოგად და საკანონმდებლო მეტროლოგიის საკითხებში, მათ უნდა ქონდეთ გავლილი სპეციალიზებული მომზადება კომპეტენციაში შემავალ კონკრეტულ სფეროში. მათი მუშაობა შეფასდება პერმანენტულად დამოწმების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე. (28.07.2010 N 1-1/1263)

11. პირველადი დამოწმების პროცესი

დაკანონებული გაზომვის საშუალების პირველადი დამოწმება ტარდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (28.07.2010 N 1-1/1263)

12. გადაწყვეტილება პირველადი დამოწმების ჩატარების შესახებ

არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე პირველადი დამოწმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამამზადებლის, იმპორტის, მოვაჭრე ორგანიზაციების ან მომხმარებლის მიერ.

13. დამამოწმებელი ორგანიზაციის შერჩევა

საქართველოს კანონმდებლობით დამოწმების ჩატარება შეუძლია საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახურს ან სხვა დამამოწმებლებს.

14. პირველადი დამოწმების ჩატარების დრო

საქართველოს კანონმდებლობით გაზომვის საშუალებას უტარდება პირველადი დამოწმება დამონტაჟების ან ექსპლუატაციის დაწყების წინ.

15. პირველადი დამოწმების ჩატარების ადგილი

საქართველოს კანონმდებლობით პირველადი დამოწმება შესაძლოა ჩატარდეს დამამზადებლის და მომხმარებლის ტერიტორიაზე, საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახურის ან სხვა დამამოწმებლის ლაბორატორიაში. გარდა ამისა, პირველადი დამოწმება შესაძლოა ჩატარდეს ეტაპობრივად – ორ ან მეტ სტადიად. მაგალითად, დამოწმების ნაწილი შესაძლოა ჩატარდეს გაზომვის საშუალების დაყენებამდე, ხოლო მეორე ნაწილი – გაზომვის საშუალების დაყენების შემდეგ ექსპლუატაციის ადგილზე.

16. პირველადი დამოწმების ჩატარების სხვადასხვა ხერხი

ა) თითოეული გაზომვის საშუალების პირველადი დამოწმება

დამამოწმებელი უპირველესად განსაზღვრავს, რომ გაზომვის საშუალების მიეკუთვნება სახეობას, რომელიც გამოიშვება როგორც დამტკიცებული ტიპის ასლი. მომხმარებელთან გაზომვის საშუალების დაყენების შემდეგ დამამოწმებელი ამოწმებს დაყენების სისწორეს. ეს, მაგალითად, შესაძლოა ეხებოდეს: გაზომვის საშუალების გაწონასწორებას თარაზოთი, გარემო პირობებს, მათ კონტროლს, ელექტრულ დამიწებას, ქსელის ძაბვის რეგულირებას ან სკალების ან ციფრული გამომთვლელი მოწყობილობის ჩვენების ხილვადობას.

მოთხოვნილი პირობების, მაგალითად, ექსპლუატაციის სანიმუშო ან ნორმალური პირობების, არსებობის შემოწმების შემდეგ დამამოწმებელი ზომავს გაზომვის საშუალების შესაბამის მეტროლოგიურ მახასიათებლებს. ამ მახასიათებლები, უპირველესად, მოიცავს განსხვავებულ დიაპაზონებში მოცემულ წერტილებში გაზომვის საშუალების ძირითადი ცდომილებას (ან გაზომვის პროცესის ცდომილებას). თუ გასაზომ სიდიდეს შეუძლია იცვლებოდეს უწყვეტად ან საფეხურებად ავტომატურ რეჟიმში, დასაშვებია ცალკეული რთული გაზომვის საშუალებების დამოწმებისას ცალკეულ წერტილებში თანმიმდევრული გაზომვების ნაცვლად ავტომატური მოწყობილობის გამოყენება უწყვეტი ან საფეხურებრივი

გამოცდების შესაბამისად.

ზემოთ ჩამოთვლილი ცდომილებების განსაზღვრის გარდა დამმოწმებელი ხშირად გამოცდის გაზომვის საშუალებების ცალკეულ მეორე ხარისხოვან მეტროლოგიურ მახასიათებლებს. მაგალითად, ეს შეიძლება მოიცავდეს თვითმწერის დრეიფს, ჰისტერეზისით გამოწვეულ სკალის ცდომილებას, ციფრული ჩვენებების ცვლილებას (ხმაური) გასაზომი სიდიდის ნულამდე მისაყვანად. დამმოწმებელს ასევე შეუძლია გამოიკვლიოს ისეთი (არა მეტროლოგიური) ტექნიკური მახასიათებლები, როგორცაა მაკონტროლებელი და გაუმართაობის შესახებ გამაფრთხილებელი მოწყობილობის სათანადო მუშაობა.

დამმოწმებელი იწერს შედეგებს, ადგენს მოთხოვნებთან შესაბამისობას და იღებს საჭირო ზომებს, მაგალითად, დაღის დატანა ან მოწმობის გაცემა დამოწმების შესახებ.

ბ) პირველადი დამოწმება ხარისხის კონტროლის მეთოდით

აღნიშნული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოწმებას დაქვემდებარებული ტიპის ან გაზომვის საშუალებების დიდი რაოდენობის, მრავალფეროვნების და სირთულის, საგამოცდო მოწყობილობების, აგრეთვე მეტროლოგიური სამსახურის პერსონალის შეზღუდული შესაძლებლობის შემთხვევაში. მაგალითად, ელექტრონული მოწყობილობების დიდი რაოდენობით აღჭურვილი თანამედროვე გაზომვის საშუალებები დამმოწმებლებისათვის წარმოადგენენ მნიშვნელოვან სირთულეს, როდესაც უნდა განსაზღვრონ შეესაბამებიან თუ არა სერიული გაზომვის საშუალებები დამტკიცებულ ტიპებს. ამ შემთხვევაში ხარისხის კონტროლის ღონისძიებების საფუძველზე მოითხოვება ამ შესაბამისობის შემოწმება. ხარისხის კონტროლის მეთოდით პირველადი დამოწმების ჩატარების შესაძლებლობა დამოკიდებულია არსებულ კანონმდებლობაზე.

17. პერიოდული დამოწმება

პერიოდული დამოწმება ტარდება დაკანონებული გაზომვის საშუალებისათვის იურიდიული ვარგისობის შენარჩუნების დადგენის მიზნით, აგრეთვე ამ სტატუსის დადასტურებისათვის ან მოხსნისათვის საფუძვლის შექმნის მიზნით, რათა განხორციელდეს მისი აღდგენის ღონისძიებები. შეიძლება დამოწმდეს ტიპის თითოეული დაკანონებული გაზომვის საშუალება ან დაკანონებული გაზომვის საშუალებების მოცემული ერთობლიობის სათანადო ნიმუში. ერთობლიობის მხოლოდ ნიმუშის პერიოდული დამოწმება ტარდება ექსპლუატაციაში მყოფი დაკანონებული გაზომვის საშუალებების შესაბამისობის მისაღები მუდმივი დონის უზრუნველსაყოფად. პერიოდული დამოწმება შესაძლოა ეხებოდეს არა მარტო დაკანონებულ გაზომვის საშუალებას, არამედ შესაძლოა ჩატარდეს მისი დაყენების, ექსპლუატაციის, გაზომვის პროცესის სისწორისა და გარემო პირობების შემოწმების, აგრეთვე კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღმოჩენის მიზნით. პერიოდული დამოწმება ტარდება დადგენილი ინტერვალის გასვლის (თუ არ არის სხვა საფუძველი) ან დაკანონებული გაზომვის საშუალების მუშაობის შესაძლო გაუარესების, კომპონენტების დაძველების და ცვეთის, მტვრის ან ჭუჭყის მოხვედრის შედეგად, გარემოს ზემოქმედების შედეგად, ისეთი როგორცაა არასწორი

ექსპლუატაციით გამოწვეული ვიბრაცია და დარეგულირება. ზოგიერთი დაკანონებული გაზომვის საშუალება განსაკუთრებით ექვემდებარება ასეთ ზემოქმედებას მექანიკური დარტყმების და ძაბვის მკვეთრი ცვალებადობის, ზუსტი მიმართვის ან ზემოქმედებისადმი დაბალი წინაღობის გამო. შესაბამისობის დონის შენარჩუნება ან პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ დაკანონებული გაზომვის საშუალებებთან, ტიპთან, მწარმოებლებთან, გამოყენების სფეროებთან ან ექსპლუატაციის ადგილთან, ასევე შესაძლოა გახდეს პერიოდული დამოწმების მიზეზი. პერიოდული დამოწმების მიზეზი შეიძლება იყოს დაკანონებული გაზომვის საშუალების არადაამაკმაყოფილებელი მუშაობა ან შემოსული საჩივრები, რომლებიც შეიძლება საექსპერტო (ოფიციალური) გაზომვების ჩატარების საფუძველი გახდეს. (28.07.2010 N 1-1/1263)

18. ამოღებულია (28.07.2010 N 1-1/1263)

19. პერიოდული დამოწმების შედეგების მოქმედების პერიოდი

პერიოდული დამოწმების შედეგები ძალაშია მომდევნო დამოწმებამდე. შედეგები ავტომატურად ითვლება ძალადაკარგულად, თუ განხორციელდა არაპერიოდული დამოწმება. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო პერიოდის ათვლა დაიწყება არაპერიოდული დამოწმების ჩატარებიდან. დაკანონებული გაზომვის საშუალებების პერიოდული დამოწმების ინტერვალი დადგენილია საქართველოს კანონით „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“. (28.07.2010 N 1-1/1263)

20. პერიოდული დამოწმების ინტერვალები

დაკანონებული გაზომვის საშუალებების პერიოდული დამოწმების ინტერვალი დადგენილია საქართველოს კანონით „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“. (28.07.2010 N 1-1/1263)

21. პერიოდული დამოწმების ჩატარების ადგილი

დამოწმების ჩატარების ადგილი დამოკიდებულია ვითარებასა და არსებულ რეგლამენტებზე, ის შეიძლება ჩატარდეს მომხმარებლის ტერიტორიაზე. ნიმუშები და ცალკეული გაზომვის საშუალებები შეიძლება იქნეს დამოწმებული საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახურის ან სხვა დამოწმებლის ლაბორატორიებში. დამოწმების ადგილის შერჩევაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც დასამოწმებელი და ასევე დამოწმებისას გამოყენებული გაზომვის საშუალების ტრანსპორტირების შესაძლებლობამ.

22. პერიოდული დამოწმების ჩატარების სხვადასხვა ხერხები

ა) თითოეული გაზომვის საშუალებების პერიოდული დამოწმება

გამოცდის დაწყების წინ უზრუნველყოფილი უნდა იყოს დადგენილი ნორმალური პირობები და გამოცდა უნდა ჩატარდეს დამოწმებელის მიერ, რომელიც უნდა ეცადოს დაიყვანოს მინიმუმამდე ყველა ცდომილება, გარდა გაზომვის

საშუალების ძირითადი ცდომილებისა.

დამმოწმებელმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყოს გაზომვის საშუალების ექსპლუატაციის პირობების იდენტური პირობები. მას შეუძლია გამოვიდეს კლიენტის როლში ან გამოიყენოს ორმაგი ბრმა საგამოცდო ნიმუშები; ამასთან, გაზომვები უნდა ტარდებოდეს მომხმარებლის ჩვეულებრივი პერსონალის მიერ.

პერიოდული დამოწმებისას გაზომვის საშუალების მუშაობას, ანუ დასამოწმებელი გაზომვის საშუალების ცდომილებას ეთმობა მეტი ყურადღება, ვიდრე პირველადი დამოწმებისას. დასამოწმებელი დამხმარე მახასიათებლები მოიცავს მხოლოდ იმ მახასიათებლებს, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში ან გაზომვის საშუალების ექსპლუატაციის პროცესში, მაგალითად, გაზომვის საშუალების მექანიკური ან ელექტრული ნული, განმეორებადობა ან მგრძნობიარობის ზონა, ან ჩადგმული ეტალონების სიზუსტე.

დამმოწმებელმა ასევე უნდა მიაქციოს ყურადღება გაზომვის საშუალების სათანადო განთავსებას, გაზომვის საშუალების ჩვენებების ხილვადობას, მოთხოვნილი წარწერიანი ფირფიტის არსებობას, გამაფრთხილებელ წარწერებს, დაღებს, ბეჭენების მთლიანობას. ყველა საჭირო მონაცემები რეგისტრირდება. თუ ყველა მოთხოვნა სრულდება, დამმოწმებელი გაზომვის საშუალებაზე დაიტანს დალს და გასცემს დამოწმების მოწმობას.

ბ) პერიოდული დამოწმება ნიმუშების შერჩევით

პერიოდული დამოწმების ძირითად მიზანს წარმოადგენს გაზომვის საშუალებების ერთობლიობის, რომელსაც უტარდება დამოწმება ნიმუშების შერჩევით, შესაბამისობის საერთო დონის უზრუნველყოფა. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს არა მარტო დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზების აღმოსაფხვრელად, არამედ ძალების კონცენტრაციისათვის გაზომვის საშუალებების ერთობლიობის შედარებით ნაკლად შესაბამის სეგმენტზე, გაუმართავი გაზომვის საშუალებების რაც შეიძლება მეტი რაოდენობის სწრაფად გამოვლენისათვის.

ყოველი დამოწმებისათვის ნიმუში შეიძლება შერჩეულ იქნეს სხვადასხვა მეთოდით: მაგალითად, მთლიანი ერთობლიობიდან შემთხვევითი ამონაკრებით; ერთობლიობის ნაწილიდან შემთხვევითი ამონაკრებით, რომელიც არ არის დამოწმებული ბოლო ერთი, ორი ან სამი დამოწმებისას; ან ამონაკრებით, რომლის დროსაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გაზომვის საშუალებებს, რომელთა მუშაობა არ იქნა აღიარებული მისაღებად წინა დამოწმების დროს.

23. დამოწმება საგამოცდო ლაბორატორიებში

ეს მუხლი ეხება მხოლოდ ქიმიურ, ბიოლოგიურ და კლინიკურ ლაბორატორიებს. ხშირად ასეთ ლაბორატორიებში ჩატარებული ნებისმიერი გაზომვა დამოკიდებულია უშუალოდ გაზომვის საშუალებების რაოდენობაზე და ქიმიური და ბიოლოგიური მასალების რაოდენობაზე. ვინაიდან გაზომვის საშუალებების და მასალების ცალ-ცალკე დამოწმება არადაამაკმაყოფილებლად ხსნის

მათი ერთად გამოყენებისას მიღებული გაზომვის შედეგებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთლიანად საიმედოობის დაცვა, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შედეგებს, რომლებიც მიიღება ამ ლაბორატორიების მიერ ბრმა ან ორმაგ ბრმა საგამოცდო ნიმუშზე გაზომვებისას.

საჭირო საგამოცდო ნიმუშები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ სპეციალური თვისებები, უნდა შეფასდეს სტანდარტული მეთოდებით საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახურის მიერ. ჩვეულებრივ ნიმუშები შეირჩვა საერთო ერთგვაროვანი ჯგუფიდან და უცვლელად გამოიყენება შესაფასებელი ლაბორატორიების მიერ ჩატარებული გაზომვების მიმდინარეობისას.

დამოწმების პირველ სტადიაზე ყოველი ლაბორატორია ღებულობს ერთ ან მეტ საგამოცდო ნიმუშს და მოგვიანებით, გადასცემს ამ ნიმუშზე გამოცდების შედეგებს საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახურს, რომელიც შემდეგ ადგენს რამდენად მისაღებია თითოეული შედეგი და აკეთებს დასკვნას თვით ლაბორატორიული პროცესის შესახებ, რომლის დროსაც იქნა მიღებული ეს შედეგები.

როდესაც გამოიყენება რიცხობრივად შეფასებული ნიმუშები, შეტყობინებული შედეგების სიზუსტე შეიძლება დადგინდეს სტანდარტული მეთოდით მიღებულ შედეგებთან შედარების გზით.

სხვა ვითარებაში სტანდარტული მეთოდის შედეგის ნაცვლად შეიძლება გამოიყენებული გაზომვების საშუალო შედეგი; ასეთი პროცედურა აჩვენებს სისწორეს, შეუცდომლობას (ლაბორატორიების ერთობლიობიდან მიღებული შედეგების მუდმივობა) და ჩვეულებრივ ნაკლები ხარისხით სიზუსტეს. ამ ლაბორატორიების მიერ ჩატარებული გაზომვები არ მოიცავს სათანადო ფიზიკური სიდეგების ყველა გაზომვებს, რამდენადაც ისინი ასევე მოიცავს რიცხობრივ ანათვლებს და შედარებებს ამოსავალი სკალიდან.

IV დამოწმების შედეგები

24. დამოწმების შედეგები

პირველადი დამოწმების შედეგი შეიძლება იყოს დაკანონებული გაზომვის საშუალების მიღება ან დაწუნება, ან მიღება სპეციალური პირობების შესრულების შემდეგ. დაკანონებული გაზომვის საშუალების მიღება ნიშნავს, რომ დაკანონებული გაზომვის საშუალება ჩითვლება იურიდიულად ვარგისად და დაკანონებული გაზომვის საშუალებაზე დაიტანება დამოწმების ბეჭედი ან დალი, და გაიცემა მოწმობა. თუ დაკანონებული გაზომვის საშუალება პასუხობს პერიოდული დამოწმების მოთხოვნებს მაშინ ის კვლავ ჩითვლება იურიდიულად ვარგისად და დარჩება ექსპლუატაციაში. თუ დაკანონებული გაზომვის საშუალება აღიარებულია უვარგისად, მომხმარებელს უნდა ეცნობოს ამის მიზეზი და, თუ ეს საჭიროა, მიეცეს რეკომენდაციები დაკანონებული გაზომვის საშუალების იურიდიულად ვარგისის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით. (28.07.2010 N 1-1/1263)

25. დამოწმების მოწმობა

მოწმობაში შეტანილი ინფორმაცია ჩვეულებრივ მოიცავს მფლობელის დასახელებას და მისამართს, გაზომვის საშუალების დასახელებას მისი საპასპორტო მონაცემების მიხედვით, დამოწმების თარიღს და მისი მოქმედების ვადას, ექსპლუატაციისას განსაკუთრებულ შეზღუდვებს, დამამოწმებლის გვარს, სახელს და ხელმოწერას. მოწმობაში ასევე შეიძლება შეტანილი იქნას მომდევნო პერიოდული დამოწმების თარიღი.

26. დამოწმების დაღები, ბეჭდები და ბჟენები

დამოწმების დაღები და ბეჭდები გაზომვის საშუალებაზე დაიტანება დამოწმების სპეციალისტის მიერ. დამოწმების შედეგიდან გამომდინარე გაზომვის საშუალებაზე დაიტანება დამოწმების ან წუნდების დაღი ან ბეჭედი, რათა ნაჩვენები იყოს გაზომვის საშუალების სტატუსი და მისი ხანგრძლივობა. თუ დაკანონებული გაზომვის საშუალება კარგავს იურიდიულად ვარგისის სტატუსს მას უნდა მოეხსნას დამოწმების დაღი.

გაზომვის საშუალების მთლიანობის, დაკალიბრების, აწყობის, პროგრამული უზრუნველყოფის და ა. შ. დაცვის მიზნით გაზომვის საშუალებაზე დაიდება სხვადასხვა სახის ბჟენები ან დაიტანება დაღები. ფასგამომთვლელ გაზომვის საშუალებებში საქონლის ერთეულზე ფასის ცვალებადობისას გაზომვის საშუალების რაოდენობრივ და გამომთვლელ ნაწილებს აქვთ ბჟენები, მაშინ, როცა ფასის შემნახველ ნაწილს ჩვეულებრივ არ პლომბავენ, თუ ფასის კონტროლის ფუნქციის და მეტროლოგიურ ფუნქციის ექსპერტიზა ერთდროულად არ განხორციელდა.

27. დამოწმების პროცესის კონტროლი და შესაბამისობა

დამოწმების პროცესის ეფექტურობა და შედეგების უტყუარობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია თვით პროცესის კონტროლზე. ეს პროცესი მოიცავს დამოწმების ჩატარების წესს, მეთოდიკას, დამოწმების ჩამტარებელ პერსონალს და მოწყობილობებს; დამოწმებებს შორის ინტერვალებს; ნიმუშების შერჩევის გეგმას; მომხმარებლის მონაწილეობას; დამოწმების ჩატარების ადგილსა და დროის შერჩევას და თვით პროცესის კონტროლის ნებისმიერ სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ და აპრობირებულ ზომებს.

შედგენილი კონტროლის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს კონტროლირებად პროცესში ცვლადების არსებობას დამოწმებას დაქვემდებარებული გაზომვის საშუალებების ერთობლიობაში, მიმდინარე დამოწმების პროცესს, და ამ ცვლადების შეფასების მეთოდს; ის აგრეთვე უნდა ადგენდეს რომელი მონაცემები უნდა იყოს რეგისტრირებული. ამ მონაცემთა შენახვის წესმა არ უნდა გაართულოს მათი მოძიება, ხოლო თვით მონაცემები უნდა იყოს პერიოდულად გაანალიზებული როგორც კონტროლირებადი ცვლადების ფუნქცია შესაბამისობის დონისათვის. ანალიზის შედეგების მიხედვით უნდა გატარდეს ღონისძიებები როგორც თვით დამოწმების პროცესის გაუმჯობესებისათვის, ასევე გაზომვის საშუალებების დასამოწმებელი ერთობლიობის შესაბამისობის საფუძვლების გაუმჯობესებისათვის.

28. დამოწმების ოქმები და მონაცემები

დამოწმების შესახებ მონაცემების არსებობა საჭიროა როგორც დამოწმებლების ეფექტური მუშაობისათვის, ისე ანალიზის ჩასატარებლად. ასეთი მონაცემები უნდა არსებობდეს დამოწმების ოქმების ორი ეფემპლიარის სახით, რომელთაგან ერთი ინახება დამოწმების სპეციალისტთან, მეორე კი დამამოწმებელთან ან კომპუტიტერის მეხსიერებაში. გარკვეული ტენდეციების გამოვლენის მიზნით ანალიზის ჩასატარებლად საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ოქმების ხანგრძლივი დროით შენახვა. საკონტროლებელი ცვლადებიდან გამომდინარე, მონაცემები შეიძლება მოიცავდეს ცნობებს:

ა) გაზომვის საშუალების მფლობელის, ოპერატორის, ადგილმდებარეობის და გარემო პირობების შესახებ;

ბ) გაზომვის საშუალების მწარმოებლის, მოდელის, სერიული ნომრის შესახებ;

გ) გაზომვის საშუალების გამოყენების სფეროს, სიხშირის და ხანგრძლივობის შესახებ;

დ) ბოლო დაკალიბრების, მომართვის ან შეკეთების, მათი რაოდენობისა და იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელმაც ჩაატარა აღნიშნული ოპერაციები; ბოლო დამოწმების თარიღის შესახებ;

ე) გაზომვის საშუალების მეტროლოგიური, ტექნიკური და ადმინისტრაციული მონაცემების შესახებ;

ვ) დამოწმების თარიღის, სეზონის და გარემო პირობების შესახებ;

ზ) დამოწმების მეთოდის, დასამოწმებელი გაზომვის საშუალებების და ეტალონების შესახებ;

თ) დამოწმებამდე და დამოწმების შემდეგ დაკანონებული გაზომვის საშუალების იურიდიული ვარგისობის შესახებ;

ი) დამამოწმებლის და დამოწმებაში მონაწილე პერსონალის საიდენტიფიკაციო მონაცემების შესახებ.

29. ამოღებულია (28.07.2010 N 1-1/1263)

30. მაკორექტირებელი ღონისძიებები

მონაცემების ანალიზის შედეგების საფუძველზე მაკორექტირებელი ღონისძიებების ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ დამოწმების ძირითად მიზანს წარმოადგენს დაკანონებული გაზომვის საშუალებებით შესრულებული გაზომვების ცდომილებების მინიმუმამდე დაყვანა და ცალკეული გაზომვის საშუალებისათვის იურიდიულად ვარგისის სტატუსის მინიჭება, გაუქმება ან შეჩერება მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებათაგანია. ფაქტიურად, ეს ღონისძიებები, რომლებიც ეფუძნება მონაცემთა ანალიზს, არ შეიძლება პირდაპირ უკავშირდებოდეს ცალკეულ გაზომვის საშუალებებს, არამედ შეიძლება უკავშირდებოდეს უფრო განსაზღვრული პრობლემის ზოგად მიზეზებს. ამრიგად, საკანონმდებლო მეტროლოგიის სამსახური ან სხვა დამამოწმებლები უნდა ესწრაფოდნენ მათი კომპეტენციის ფარგლებში, გამოავლინონ ეს პრობლემები თავიანთ მუშაობაში

ცვლილებების შეტანის გზით, შესთავაზოს დამამზადებლს ან მომხმარებელს შეიტანოს დასაშვები და საჭირო ცვლილებები, ან დამტკიცებულ ტიპში ან რეგლამენტებშიც კი ცვლილებების შეტანის ინიცირება მოახდინონ.